ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 252 (19394) ◆ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1985 ᲬᲔᲚᲘ ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲙᲙᲨ XXVII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲒᲐᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ კომიტეტის სხდომამ, რომელზეც ყველამ ერთხმად მოიწონა და მხარი დაუჭირა პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტს, დადგინა: პარტიული ორგანიზაციის ყველა წევრმა ღრმად და გულდასმით უნდა შეისწავლოს ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, წარმოადგინოს საკუთარი აზრი, შენიშვნები და წინადადებები, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრებენ და შეავსებენ პროგრამის პროექტის შინაარსს.

აგიტატორებს, პოლიტინფორმატორებს, ლექტორ-მომხსენებლებს დაევალთ ძირფესვიანად გაიკონონ მშრომელებს ამ დიდი საპროგრამო დოკუმენტის შინაარსი, ყველა მისი პუნქტი და დეტალი.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციაც ერთსულოვნად უჭერს მხარს პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას. ამასთანავე, გვაქვს ზოგიერთი საკუთარი მოსაზრებანიც.

საყურადღებოა პროექტის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია კადრებთან მუშაობის შედგომი გაუჯობესების ამოცანებზე; პარტიული ორგანიზაციები „ყველგან თავით ბოლოდე განუხრელად იცავდნენ კადრების შერჩევისა და შეფასების ლენინურ პრინციპებს პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების მიხედვით, უფრო სრულად ითვალისწინებდნენ საზოგადოებრივობის აზრს“. ხომ არ აჯობებს კონკრეტულად გამოგვეთქვა: „უფრო სრულად ითვალისწინებდნენ მშრომელთა კოლექტივის აზრს“, ვინაიდან საზოგადოებრივობაში უპირველესად მშრომელთა კოლექტივი იგულისხმება, რომელიც უტყუარად „იფასებს თავის ყველა წევრის ავსაც და კარგსაც.

მოსაწონი და ჩვენი პარტიული ორგანიზაციისთვის გასათვალისწინებელია პროგრამის ის ნაწილი, რომელიც ეხება ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალთა შერჩევასა და დაწინაურებას.

ისე როგორც ყოველთვის, ამ ეტაპზეც დასახული ამოცანების განხორციელებას პარტია ამყარებს კომუნისტების ინიციატივაზე, შეგნებულ, შემართებულ, ავანგარდულ შრომაზე, პერსონალური პასუხისმგებლობის და როგორც თავის თავისადმი, ისე გვერდში მდგომი ადამიანებისადმი მომთხოვნელობის გადიდებაზე.

რატომ უნდა ვითმენდეთ და მკაცრად არ ვრეაგირებდეთ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ერთი და იგივე პირობებში, ფერმაში თუ ბრიგადაში, ერთი მუშაობა თითოეულ ფურზე საშალოდ წელიწადში 3.000-4.000 კილოგრამ რძეს იღებს, მეორე კი ძლივს — 1.500-1.800 კილოგრამს? მაგალითად, ჩვენს კოლეგიურნეობაში ყველა მუშაობა ფურ-ფურ მოწონავის დონეზე რომ დადგეს, დამატებით მივიღებდით სულ ცოტა 600-700 ტონა რძეს წელიწადში. ასეთივე კონტრასტებია მემინდვრეობის, მეცვენახეობის ბრიგადებს შორის.

სამე ის გახლავთ, რომ არა ვართ დაუფლებული მეცნიერულ-პროგრესულ ეკონომიკას. გაბედულად არ ვნერგავთ შიდასამეურნეო ანგარიშს, ანუ მანეთით კონტროლს (აღნიშნულ ბრიგადებში, რეოლებს, შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის თვითღირებულების შესაბამისად არ ვანაწილებენ შრომას. ბიუმუშა ანგარიში წარმოებაში მხოლოდ ზარმაცებს აძლევს ხელს. მომავალში მას ბოლო უნდა მოეღოს ყველგან.

პარტია აყენებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე დაჩქარებული გადასვლის ამოცანებს. ამიტომ უნდა განვსაზღვროთ არა მხოლოდ პირადი იდგილი ამ საერთოსახალხო ეურსულში, არამედ კონკრეტული წვლილიც — რას ვაძლევთ წარმოებას, რას ვკმნით, რა სარგებლობა მოგვაქვს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის. ამ პრინციპის დაცვა ყველას, უპირველესად კი კომუნისტებს მოგვეთხოვება.

მ. ᲙᲐᲪᲐᲩᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაისის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲛᲠᲝᲛᲝᲗ

ᲔᲚ-ᲔᲚ არის რთველი დავამთავრეთ, ყურძენი დავაბინავეთ და სამერმისო მოსავლისათვის თადარიგსაც შევუდექით; ამასთან ერთად მთელი გულისყურით ვსწავლობთ პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტს, რომელიც ადამიანისა და ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეო დიდმნიშვნელოვან ღონისძიების თვალსაწიერს.

ღრმად გვწამს, რომ მისი განხორციელება ახალ სიკეთეს და ბედნიერებას მოუტანს ჩვენს ხალხს. ეს სიკეთე მით უფრო მეტი იქნება, რაც უფრო კეთილსინდისიერად მოვეკიდებით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რაც უფრო მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ შესაძლებლობებს, ჩავაყენებთ მათ ხალხის სამსახურში. დიდ რეზერვად მიგვაჩნია ვენახში სიმეჩხრის აღმოფხვრა, ყოველ ჰექტარზე მოსავლიანობის გაზრდა. ამ მხრივ ჩვენ ცოტა როდი გვაქვს გასაკეთებელი.

მინდა ჩემი და ჩემი ბრიგადის წევრთა ხმა შევიერთო მთელი ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხების ხმას, ამოვუდგეთ მათ მხარში, ვიმუშაოთ უფრო გონიერულად, უფრო ენერგიულად, რათა რეალობად იქცეს დასახული ღონისძიებანი.

ყოველთვის ცხადია და ჩვენც ღრმად გვწამს — უკეთესად რომ ვიცხოვროთ, უკეთესად უნდა ვიმეცადინოთ.

მ. ᲦᲕᲔᲓᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ,

სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲡᲙᲙᲨ XXVII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲡᲙᲙᲨ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავს პარტია ქვეყნად მშვიდობის განტკიცებას, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისა და მისი კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. „პარტია, ნათქვამია პროექტში, კვლავაც ყველაფერს იღონებს მშრომელთა რეალური შემოსავლის განუხრელი ზრდისა და ყველა ფენის და სოციალური ჯგუფის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობათა შესაბამისად“.

ჩვენი დიადი საბჭოთა ეკონომიკური სიძლიერის განმტკიცების და, ამდენად, მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისათვის ზრუნვა კი თითოეული საბჭოთა ადამიანის ღვიძლი საქმეა. ხოლო ვინაიდან ადამიანების შრომას მათი საარსებო მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისაკენ მისწრაფებაც უდგას საფუძვლად, ამდენად, როგორც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივთან შეხვედრისას აღნიშნა, „ვერ შევძლებთ ჩვენი განვითარების დაჩქარებას, თუ არ დავაყრდნობთ ხალხს ცოცხალ შემოქმედებას, ცხოვრების ყველა სფეროში უკეთესობისაკენ ცვლილებებით მილიონების დაინტერესებას“.

მაშასადამე, მატერიალური და სულიერი ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის ამაღლებისათვის ბრძოლა ადამიანური არსის თვითრეალიზაციის უპირველესი პირადული, სუბიექტური ფორმაა და ის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალად უნდა მივიჩნიოთ.

წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების პირობებში კაპიტალისტური საზოგადოების გაბატონებული უმცირესობა მაქსიმალური მოგებისათვის იბრძვის, დამორჩილებული უმრავლესობა კი — მატერიალური და სულიერი ცხოვრების მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებისათვის. ეს ორი მიზანი სისტემურად ერთმანეთს. ასეთ პირობებში სულ უფრო მწვავდება წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და შესაბამის წარმოებითს ურთიერთობებს შორის. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური საზოგადოებრივი წარმოების საწარმო ძალები ვითარდება, მაგრამ ამას მშრომელი მასების ინიციატივა კი არა, მათი ეკონომიკური იძულება განაპირობებს. ეკონომიკური იძულების აქტი თავისთავად დიდი ფსიქოლოგიური ტვირთია კაპიტალისტური საზოგადოების მუშების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციისათვის.

ხოლო წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში სოციალისტური წარმოება კი არ თანდაეს, არამედ, პირიქით, იერთიანებს ყველა სოციალური ფენის ინტერესებს საზოგადოების თითოეული წევრის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის.

სოციალისტურ საზოგადოებაში საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის ამაღლებისათვის ბრძოლა მამდინარეობს აუცილებელი შრომიდან შემოქმედებით შრომაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში. ამიტომ საწარმოო ძალებსა და წარმოებითს ურთიერთობებს შორის გარკვეული წინააღმდეგობა აქაც არსებობს და მას ძირითადად შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების მქონე ადამიანის აღზრდაში არსებული ხარვეზები და ფარეშოების არასრულყოფილი მართვა განაპირობებს. ამიტომ გახდა საყოველთაო მსჯელობის საგანი მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საკითხები.

„ჩვენ დავიწყეთ სკოლის რეფორმა, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, სკკკ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, რომლის მნიშვნელობა ქვეყნის მომავლისათვის ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს. და ახლა არა ფორმალურად, არამედ შინაარსიანად უნდა მივუდგეთ დასახულ ამოცანებს და რადიკალურად გავაუმჯობესოთ მოზარდ თაობათა სწავლებისა და აღზრდის ხარისხი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის მათი მომზადება“. ამიტომ ეძიება სკკკ პროგრამის პროექტში განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებრივი წარმოების მართვის ორგანიზაციის სრულყოფას. ამიტომაც იყო, რომ, როგორც სკკკ ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნულ პლენუმზე ითქვა, „რა საკითხსაც არ უნდა ვიხილავდეთ, რა მხრიდანაც უნდა ვუდგებოდეთ ეკონომიკას, საბოლოო ანგარიშით იმ დასკვნამდე მიგდიგართ, რომ საჭიროა მართვის, მოლიანად სამეურნეო მექანიზმის სერიოზული გაუმჯობესება“.

საზოგადოებრივი წარმოება ზიგზაგებით, დაჩქარებით ან შეფერხებებით ვითარდება. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ მართვის ორგანიზაცია ყოველთვის სრულად არ ასახავს და, მაშასადამე, არ ეფუძნება საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს, იგი ზოგჯერ სუბიექტურია და ამიტომ ყოველთვის ვერ უწყობს ხელს მის აღმავალ განვითარებას.

„ჩვენ ადამიანის ინტერესებიდან, ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაციისა და პოლიტიკური ჩაგვრის შესაძლებლობიდან. ამიტომ ჯეშმარიტად მეცნიერული მართვის ორგანიზაციის შემუშავება მხოლოდ და მხოლოდ წარმოების სოციალისტური წესის პირობებშია შესაძლებელი. მეორე მხრივ, მართვის ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია ერთობლივი, კოოპერაციული შრომა, და საერთოდ, იმ ახალი საზოგადოებრივი ძალის აღმოცენება, რომელიც განაპირობებს ადამიანების შესაძლებლობათა ურთიერთშედარებას. ეს უკანასკნელი არაანტაგონისტურ საზოგადოებაში ერთმანეთთან კეთილგანწყობილი, ერთი დიადი მიზნით შეკავშირებული ადამიანების ზეიბრებაა. აქ ადამიანები ამისთვის კი არ ეჯიბრებიან ერთმანეთს, რომ ძალიერმა დაჩაგროს სუსტი, არამედ ამისთვის, რომ ძლიერის შესაძლებლობები მასტიმულირებელი ორიენტირი გახდეს სუსტისათვის. სწორედ ადამიანური შესაძლებლობების ურთიერშეჯიბრების მოპყყვა მოძრაობაში საწარმო ძალების ის შინაგანი რეზერვები, რომლებიც ხელშეუხებელი რჩება ანტაგონისტურ საზოგადოებაში.

შესაძლებლობათა ურთიერთდაპირისპირება, ცხადია, შრომის პროცესში გაერთიანებული ადამიანების სოციალური აქტიურობის წყაროა. მაგრამ ანტაგონისტურ საზოგადოებაში ის აგრეთვე ურთიერთკონკურენციის, ერთმანეთთან მტრობისა და შუღლის წყაროც არის, რაც ჩვენს ქვეყანაში გამორიცხულია.

„ეკონომიკის ხელმძღვანელობის სრულყოფის მიე მუშაობაში, ნათქვამია სკკკ პროგრამის პროექტში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად გაატარებს ის გეზს, რომ განავითაროს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და სულ უფრო სრულად ჩაპაპას ისინი წარმოების მართვის პროცესში... უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასების ინიციატივისა და შემოქმედების ყოველმხრივ მხარდაჭერას“.

ხოლო იმაზე, თუ რამდენად ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ცალკეული ადამიანისა და, საერთოდ, მთელი საზოგადოების ინტერესები, რამდენად მაღალია საზოგადოებრივი შეგნება, როგორ სრულად ხორციელდება სოციალისტური შრომისა და განაწილების ძირითადი პრინციპები, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საშობლოს სიძლიერის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლება. სწორედ ამასაც ეძიება განსაკუთრებული ყურადღება სკკკ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, რომლის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და დასკვნების განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი საშალება კეთილსინდისიერი, მაღალსაფიერი გარჯა, მშრომელი ადამიანისა. სწორედ ასე აღიქვამენ ამას ახლა საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებიც, განხხილავენ რა ამ სახელმძღვანელო დოკუმენტს, ერთხმად იწონებენ მას და გამოხატავენ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ერთსულოვან მზადყოფნას.

Გ. ᲮᲐᲬᲐᲚᲘᲐ,

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი.

ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲛᲠᲝᲛᲝᲗ

ᲨᲔᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲡ ერთი თვეა გვაშორებს ზამთარს. მთაში მკვეთრად აცივდა, არც ბარშია დარი. ახლა საჭიროა სოფლად ყოველი სამუშაო ორგანიზებულად, აგროვადებში შესრულდეს, რათა, შრომითა და გარჯით მოწეული უკეთესად დავაბინაოთ ისე, რომ პროდუქტს შეეფარჩინოთ უმჯობესი ხარისხი.

ᲠᲗᲝᲔᲚᲘ რომ საშური საქმეა, ამას განმარტება არ სჭირდება. ნათქვამია, მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ, რომ ეკონომიკურ მოსავალი ის არის, რაც მარანშია. წლევანდელი რთველი ყურძნისა და ღვინის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების რთველად არის გამოცხადებული. ამ მხრივ ქება ეთქმის კახეთის რეგიონის მევინეობის ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობას, სადაც მაღალხარისხოვან ყურძენს კრეფენ და სახელმწიფო მარანს ამარებენ.

რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ბოლო ცნობებით, კახეთის რაიონების მევენახეებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 414.628 ტონა ყურძენი; სულ რესპუბლიკაში კი დამზადებულია 557.369 ტონა ყურძენი. როგორც ვიცით, წელს ყურძნის სანაბიჯო შაქრიანობა 19 პროცენტია. კახეთს ზერგიდან მიღებული ყურძნის შაქრიანობა კი 20 პროცენტამდეა, ხოლო ცალკეულ მეურნეობებში შაქრიანობის პროცენტი გაცილებით მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩასათვლელნა წონამ საგრძნობლად მოიმატა. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა აქვთ გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების მევენახეებს. გურჯაანელებმა რთველი დაამთავრეს, სახელმწიფოს მიაყიდეს 86.324 ტონა ყურძენი; საშუალო შაქრიანობა რაიონში 20,6 პროცენტია. სიღნაღის რაიონში დამზადებული 53.418 ტონა ყურძნის საშუალო შაქრიანობა 20,5° პროცენტია, წითელწყაროს რაიონში დამზადებული 63.911 ტონისა კი 20 პროცენტი. ყვარლის რაიონში დამზადდა 68.776 ტონა ყურძენი, თელავისაში — 57.370 ტონა. კახეთის რეგიონში რთველი მთავრდება.

ქართლის რაიონებში დამზადებულია 48.120 ტონა ყურძენი. ამ რეგიონში ყურძნის შაქრიანობის სანაბიჯო ღონეს მხოლოდ მარნეულის რაიონის მეზარეებმა გადაამეტეს. დანარჩენ რაიონებში შაქრიანობის პროცენტი სანაბიჯოსთან შედარებით ერთთან მეტია.

დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში რთველი მთელი ძალით გაჩაღდა, მოკრეფილია 94.621 ტონა ყურძენი. ყურძნის შაქრიანობის სანაბიჯო ღონეს გადაამეტეს თერჯოლის, მაიაკოვსკის, ვანის, ამბროლაურის რაიონების მევენახეებმა. სანაბიჯო შაქრიანობის ღონე ბევრად ნაკლებია საჩხერის, ჭიათურის, ჩოხატაურის, მახარაძის, ონის რაიონებში. თქმა არ უნდა, აქ ანაზღაურებაც მცირე იქნება. მერთელებს უნდა შევახსენოთ, რომ ამინდი ყურძნის საკრეფად ხელსაყრელი არ იქნება და ცოტაში უნდა დაიჩქარონ.

ᲮᲘᲚᲘᲡ დამზადება: უნდა დამზადდეს 560.000 ტონა ხილი. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბოლო ცნობით, დამზადებულია ოთხ 317.821 ტონა, რაც გეგმის 57 პროცენტია. თესლოვანი ხილის კრეფის ტემპი შარშანდელთან შედარებით შეფერხდა. 461.600 ტონიდან დამზადებულია 215.416 ტონა, ანუ გეგმის 47 პროცენტი, შარშან კი ოთოისათვის კი დამზადებული იყო 306.339 ტონა. თესლოვანმა ხილის კრეფის ტემპის დაჩქარება მართებთ ქარელის, ცალკის, გორის, ხაშურის რაიონებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. ამ რეგიონებში სუსხია მოსალოდნელი, რაც ხილის ხარისხს გაიუარესებს. ეს უნდა გაითვალისწინონ მეხილეებმაც, და საზოგადოებრივი მეურნეობებისა და რაიონების ხელმძღვანელებმაც.

ᲑᲝᲩᲙᲔᲚᲘᲡ დამზადების ტემპიც არ არის სახარებელი. 415.000 ტონიდან დამზადებულია 322.762 ტონა. მართალია, ზუგდიდის, ყვარლის, ლანჩხუთის, საჩხერის, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონების მებოსტნეებმა ვადამდე და ადადმეტებით შეასრულეს დამზადების გეგმები, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველს. ბოსტნეულის დამზადების ტემპი უნდა დაჩქარონ მებოსტნეობის მთავარმა რაიონებმა, განსაკუთრებით კი ლაგოდეხის, გორის, ცალკის, ხაშურის რაიონებმა, საბრჭეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მებოსტნეებმა.

ᲨᲣᲥᲘᲡ დამზადებულია 415.000 ტონიდან დამზადებულია 322.762 ტონა. მართალია, ზუგდიდის, ყვარლის, ლანჩხუთის, საჩხერის, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონების მებოსტნეებმა ვადამდე და ადადმეტებით შეასრულეს დამზადების გეგმები, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველს. ბოსტნეულის დამზადების ტემპი უნდა დაჩქარონ მებოსტნეობის მთავარმა რაიონებმა, განსაკუთრებით კი ლაგოდეხის, გორის, ცალკის, ხაშურის რაიონებმა, საბრჭეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მებოსტნეებმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲮᲣᲗᲗᲕᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲤᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ 580.000 ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ

ᲡᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ-ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ (ტონობით)

ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘ	
ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ	—106.611
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ	— 73.000
ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘ	
ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ	—107.877
ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲘᲡ	— 78.537
ᲭᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ	— 37.422
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ	— 30.101
ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ	— 29.625
ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ	— 27.793
ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ	— 16.100
ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ	— 14.505
ᲭᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ	— 13.594
ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲖᲝᲜᲐ	— 13.524
ᲮᲝᲑᲘᲡ	— 12.643
ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ	— 11.363
ᲡᲐᲛᲔᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ	— 3.430
ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ	— 1.246
ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ	— 1.240
ᲐᲑᲐᲨᲘᲡ	— 1.067
ᲕᲐᲜᲘᲡ	— 1.002

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲯᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲙᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ! ᲛᲐᲙᲘᲪᲘᲗ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲗ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲗ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲐᲓᲘᲔᲗ ᲛᲘᲜᲐᲗᲛᲝᲫᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲡᲙᲙᲨ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲪ ᲛᲝᲕᲘᲬᲘᲛᲔᲗ, ᲨᲔᲛᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ, ᲓᲐᲕᲘᲐᲒᲝᲜᲐᲗ

ᲨᲔᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲡ ერთი თვეა გვაშორებს ზამთარს. მთაში მკვეთრად აცივდა, არც ბარშია დარი. ახლა საჭიროა სოფლად ყოველი სამუშაო ორგანიზებულად, აგროვადებში შესრულდეს, რათა, შრომითა და გარჯით მოწეული უკეთესად დავაბინაოთ ისე, რომ პროდუქტს შეეფარჩინოთ უმჯობესი ხარისხი.

ᲠᲗᲝᲔᲚᲘ რომ საშური საქმეა, ამას განმარტება არ სჭირდება. ნათქვამია, მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ, რომ ეკონომიკურ მოსავალი ის არის, რაც მარანშია. წლევანდელი რთველი ყურძნისა და ღვინის ხარისხის კეთილი გაუმჯობესების რთველად არის გამოცხადებული. ამ მხრივ ქება ეთქმის კახეთის რეგიონის მევენახეობის ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობას, სადაც მაღალხარისხოვან ყურძენს კრეფენ და სახელმწიფო მარანს ამარებენ.

რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ბოლო ცნობებით, კახეთის რაიონების მევენახეებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 414.628 ტონა ყურძენი; სულ რესპუბლიკაში კი დამზადებულია 557.369 ტონა ყურძენი. როგორც ვიცით, წელს ყურძნის სანაბიჯო შაქრიანობა 19 პროცენტია. კახეთს ზერგიდან მიღებული ყურძნის შაქრიანობა კი 20 პროცენტამდეა, ხოლო ცალკეულ მეურნეობებში შაქრიანობის პროცენტი გაცილებით მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩასათვლელმა წონამ საგრძნობლად მოიმატა. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა აქვთ გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების მევენახეებს. გურჯაანელებმა რთველი დაამთავრეს, სახელმწიფოს მიაყიდეს 86.324 ტონა ყურძენი; საშუალო შაქრიანობა რაიონში 20,6 პროცენტია. სიღნაღის რაიონში დამზადებული 53.418 ტონა ყურძნის საშუალო შაქრიანობა 20,5° პროცენტია, წითელწყაროს რაიონში დამზადებული 63.911 ტონისა კი 20 პროცენტი. ყვარლის რაიონში დამზადდა 68.776 ტონა ყურძენი, თელავისაში — 57.370 ტონა. კახეთის რეგიონში რთველი მთავრდება.

ქართლის რაიონებში დამზადებულია 48.120 ტონა ყურძენი. ამ რეგიონში ყურძნის შაქრიანობის სანაბიჯო ღონეს მხოლოდ მარნეულის რაიონის მეზარეებმა გადაამეტეს. დანარჩენ რაიონებში შაქრიანობის პროცენტი სანაბიჯოსთან შედარებით ერთთან მეტია.

დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში რთველი მთელი ძალით გაჩაღდა, მოკრეფილია 94.621 ტონა ყურძენი. ყურძნის შაქრიანობის სანაბიჯო ღონეს გადაამეტეს თერჯოლის, მაიაკოვსკის, ვანის, ამბროლაურის რაიონების მევენახეებმა. სანაბიჯო შაქრიანობის ღონე ბევრად ნაკლებია საჩხერის, ჭიათურის, ჩოხატაურის, მახარაძის, ონის რაიონებში. თქმა არ უნდა, აქ ანაზღაურებაც მცირე იქნება. მერთელებს უნდა შევახსენოთ, რომ ამინდი ყურძნის საკრეფად ხელსაყრელი არ იქნება და ცოტაში უნდა დაჩქარონ.

ᲮᲘᲚᲘᲡ დამზადება: უნდა დამზადდეს 560.000 ტონა ხილი. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბოლო ცნობით, დამზადებულია უმ-317.821 ტონა, რაც გეგმის 57 პროცენტია. თესლოვანი ხილის კრეფის ტემპი შარშანდელთან შედარებით შეფერხდა. 461.600 ტონიდან დამზადებულია 215.416 ტონა, ანუ გეგმის 47 პროცენტი, შარშან კი ოთოისათვის კი დამზადებული იყო 306.339 ტონა. თესლოვანმა ხილის კრეფის ტემპის დაჩქარება მართებთ ქარელის, ცალკის, გორის, ხაშურის რაიონებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. ამ რეგიონებში სუსხია მოსალოდნელი, რაც ხილის ხარისხს გაიუარესებს. ეს უნდა გაითვალისწინონ მეხილეებმაც, და საზოგადოებრივი მეურნეობებისა და რაიონების ხელმძღვანელებმაც.

ᲑᲝᲩᲙᲔᲚᲘᲡ დამზადების ტემპიც არ არის სახარებელი. 415.000 ტონიდან დამზადებულია 322.762 ტონა. მართალია, ზუგდიდის, ყვარლის, ლანჩხუთის, ს

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად

საქართველოს მეჩაიეთა დიდი გამარჯვება

ძველი აღმოჩნდა წლევანდელი სეზონი მეჩაიეებისათვის — გვიანი გაზაფხული, კოკისპირული წვიმები, ტემპერატურის უჩვეულო და ხშირი დაცემა — ასეთი პირობებში უხდებოდათ მეჩაიეებს მუშაობა მთელი ამ ხნის მანძილზე. ამიტომ მათ ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო გვიან დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფა. მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა, მისწრაფება ღირსეულად შეხვედროდნენ სკკპ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, შთაგონებდა მეჩაიეებს შრომაში. ამის შედეგად მათ შემქმედრებულ ვადებში დაძლიეს უამინდობის შედეგები, მაღალ დონეზე განახორციელეს ყველა აგროტექნიკური ღონისძიება, მოგვაგზავნეს მოსავლის ასაღები კონვეიერის შეთანხმებული მუშაობა. დღეს მეჩაიეები გვიამტკიცებენ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას: მათ სამშობლოს ჩაბარეს 580 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ამ წარმატებაში ვხედავთ დარგის განვითარებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის, შრომის სწორი ორგანიზაციისათვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების ფართო დანერგვისათვის რაიონული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული ორგანოების ძალისხმევის ნაყოფს.

ახლანდელი ხუთწლედი მეჩაიეებისათვის ფრიად „მოსავლიანი“ იყო. ჩაის ფოთლის საშუალო წლიური წარმოებამ 555 ათას ტონამდე მიაღწია, რაც 124 ათასი ტონით მეტია წინა ხუთწლედთან შედარებით. პლანტაციების მოსავლიანობამ ჰექტარზე 100 ცენტნერს გადააჭარბა, ამ წლების მანძილზე იგი 10 პროცენტით გაიზარდა.

თავდადებულად იშრომეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, მეჩაიეობის ყველა რაიონის კოლექტივებმა, მაგრამ ყველაზე მეტად ქებას იმსახურებენ ჩხოროწყუს, ცხაკაიას, გულრიფშის, წულეკიძის, სოხუმისა და სხვა რაიონების, ქალაქ ტყიბულის, ის ზონის შრომელები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი.

შეჯიბრების გამარჯვებულ თა შორის არიან ზუგდიდის, ჩოხატაურის, ლაჩრხუთის, გაგეკჭორის და სხვა რაიონების, ქალაქების წყალტუბოსა და ჭიათურის ზონების მეჩაიეები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იონონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნანული მელიციამ, ქალაქ ტყიბულის ზონის სოფელ საწორის კოლმეურნეობის კოლმეურნეგ რიმა გვენეტაძემ, ქობულეთის ზონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეგ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ციური მოწყობილმა, გალის რაიონის სოფელ ღუმურიშის კოლმეურნეობის მეჩაიემ, ორი ლენინის ორდენის კავალრმა თინათინ გოგოხიამ და ბევრმა სხვამ.

ჩაის ფოთლის კრეფის ახლანდელი სეზონის გაბმასხვავებელი ნიშანია გაზრდილი ზრუნვა ქარხანებზე ფოთლის ადგილზე დამუშავებისა და ჩაის ხარისხისათვის. ეს ზრუნვა, მართალია რომ, არა მარტო პროფესიული, არამედ ეროვნული სიამაყის საგანი გახდა.

მეჩაიეთა პროდუქციის ხარისხის გუმჯობესებისათვის ზრუნვით არის ნაკარნახეი ყველა ღონისძიება, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ინიციატივით. ამ ღონისძიებათა შორის უმნიშვნელოვანესია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის ძირითად მეჩაიეობის რაიონებში მოეწყოს ექსპერიმენტები ნედლეულისა და ბუნებრივ პროდუქციის ხარისხის გუმჯობესებისათვის ჩაის ფოთლის კრეფის ახალი აგროწესებისა და მიღების და გადამუშავების ტექნიკური პირობების დანერგვის გზით.

რესპუბლიკაში დაადგენენ კოლეხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების ხარჯზე ჩაის პლანტაციების ფფართოების კურსს. 1981-1984 წლებში ამ მიწებზე გააშენეს 2283 ჰექტარი პლანტაციები, ხუთწლედის დამლევამდე კი ფართობები 3289 ჰექტარს შეადგენს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ახალი პლანტაციები ეთმობა ვეგეტაციურად გამრავლებული „კოლხეთის“ ჯიშს. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტულ ფაბრიკაში ამ ჯიშების ნედლეულის გადამუშავების შედეგად მიღებულმა პროდუქციამ მომხმარებელთა დიდი შეფასება დაიმსახურა.

ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურებიან ეკონომიური ბერკეტებიც. გათვალისწინებულ ი ა მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი გავრცელდეს არა მარტო ჩაის ფოთოლის მკრეფველებზე, არამედ მეურნეობის ხელმძღვანელებზეც, და სპეციალისტებზეც. დარგში აერეკვე ფართოდ ინერგება კოლექტიური იჯარა. ამჟამად მეჩაიეობის მეურნეობებში მოქმედებს 1000-ზე მეტი საიჯარო ბრიგადა.

ჩაის წარმოების ზრდა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც დარგში ფართოდ დაინერგა ინდუსტრიული ტექნოლოგია. მეჩაიეობა სოფლის მეურნეობის რიგი და შრომატევადი დარგია და საკმაოთ ნათელია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დაუჩქარებლად მისი შემდგომი განვითარება შეუძლებელია. რესპუბლიკაში წარმოებს მნიშვნელოვანი მუშაობა ისეთი შრომატევადი პროცესის მექანიზაციისათვის, როგორიც არის ფოთლის კრეფა. ბოლო ხუთ წელიწადში მანქანებითა და აპარატებით მოკრეფილი ნედლეულის მოცულობა 80 ათასიდან 167 ათას ტონამდე გადიდდა. წლითიწლობით იზრდება ფართობები, სადაც ჩაის მექანიზებული წესით კრეფენ. 1990 წლისათვის მათ 53 ათას ჰექტარს უნდა მიაღწიონ. სულ უფრო ფართოდ ინერგება მექანიზაციის საშუალებანი — როგორც მობილური ტექნიკა, ისე ხელის აპარატები. 1984 წელს მექანიზებული კრეფის ხვედრითმა წილმა 27 პროცენტი, ხოლო ცალკეულ რაიონებში — ქობულეთის, მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, გაგეკჭორის, ჩხოროწყუს, გულრიფშის რაიონებში 30-40 პროცენტი შეადგინა. ამ სეზონში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა.

ამ ციფრების მიღმა ათიათასობით ჩვენი სახელოვანი მეჩაიის დიდი და მუხლჩაუხრელი შრომა. სწორედ მისი მეოხებით შესრულდა ხუთწლედი ვადამდე და დაიწყო ჩაის კრეფა უკვე მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში, რომლის მიჯნები გაცილებით უფრო მაღალია დღევანდელზე. მომავალი ხუთწლედის დამლევისათვის ნომ რესპუბლიკაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფამ უნდა მიაღწიოს 680 ათას ტონას, აქედან მექანიზებული ხერხით უნდა მოიკრეფოს ყოველწლიურად 350 ათასი ტონა, ხოლო უტარო ხერხით გადაიზიდოს 650 ათასი ტონა.

ეჭვგარეშეა, რომ მეჩაიეები ამ რთულ დავალებებსაც წარმატებით გაართმევენ თავს.

გ. მგელაძე,
საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

სამზეო სახელები

ოსტატის მარჯვენა

მახარაძის რაიონის ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობას გმირთა სოფელს ეძახიან; ძიმითელებს ეამფუნთამ, რომ სოფელში რვა სოციალისტური შრომის გმირია. ყველა მათგანს ეს სპატიო წოდება ჩაის უხვი მოსავლის მოყვანისათვის აქვს მინაბეჭდული.

ჩვენ კი ერთ-ერთ მათგანს, ჯარისკაცის ქვრივს საშა ქურიძეს ვეწვეთ. ცრიდა... შინ მაინც არ დაგხვდა ეს 60 წელს გადაცილებული ქალი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — სოციალისტური შრომის გმირმა სევერიან მუხაშავრიამ ღიმილით გვითხრა:

— შე დალოცვილო, საშას ახეთი წვიმა შეაშინებს? ჩაიშიო იქნება ახლა, აბა, წავიდეთ, ვნახოთ.

იგი წინ გაგვიძღვა, უხვმოსავლიან პლანტაციაში შევედით.

— აბა, შეხედეთ, როგორ ციბრატივით ტრაილებს. — ხელით მიგვანიშნა თავმჯდომარემ.

მეჩაიე დიდოსტატი მართლაც სწრაფად კრეფდა ფოთოლს, ახლომახლო პლანტაციებში კანტიკუნტად სხვა მკრეფველებიც ჩანდნენ. ბუშაობაში გართულ საშას ჩვენი მისვლა არც კი გაუგია, სანამ თავზე არ წაადექით. თავმჯდომარემ ხელიდან ფოთლით სავსე კალათა ჩამოართვა და გამომიწოდა, — კარგად ნახე, ნამდვილი ბუკეტია, ყველა რომ ახეთ ხარისხოვან ფოთოლს კრეფდეს, იცოცხლე, ქართული ჩაის ვაგლასხად სამდურავს ვერავინ გაუბედავდა.

გავხინჯეთ, ჯერ ნაზი ყლორტების სურნელებას ზედ წაუხვალ, დაგაკბობს კაცს! რატომ უნდა გაუხეშოს ადამიანმა ეს ბუნების მოწოდებული ლარიქონ დუშუები.

— ახე რომ, შეხალლებელი ყოფილა ყველა მეჩაიე მოკრეფოს თქვენსავით ახეთი მაღალხარისხოვანი ფოთოლი, არა?

— მაგას რაღა ჩემი დახტორი უნდა, ნენა, — საშამ ბუჩქებზე მიმანიშნა, — ხედავთ ამ ახალ გაკრეფილ ბუჩქებს? უნაზესი ყლორტები დავტოვე, მაგას შემოუსვლელი ფოთოლი ჰქვია, ხვალ-ზეგ საკრეფი იქნება, კარგი თუ გინდა, ბუჩქებს სეზონში 18-ჯერ უნდა გაკრეფა, რაოდენობაშიც მოიგებ, ხარისხიც უმაღლესი იქნება. დიდ დანაშაულად მიმაჩნია, რომ ბევრი ჩემი კოლეგა ჯერ „ეგდაამერებს“ ფოთოლს და შემდეგ ერთიანად ნამგალთა და დანით ჭრის უხეშსაც და ნაზ ყლორტებსაც. ეს კარგად შენიშნა ამ ორიოდე წლის წინათ ჩაის დიდოსტატმა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ. ეს შენიშვნა დროული იყო — დავუბრუნოთ ქართულ ჩაის ძველი დიდებაო. კარგ მოქმედს კარგი გამგონეც უნდა, მიიქცია, ქვეყანა აალაპარაკა. საშუალო სკოლადამთავრებულმა პირდაპირ ჩაის ბუჩქებს მიაშურა. იმავე წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე 6 ტონაზე მეტი ფოთოლი მოკრიფა. ამ უკვეტ ახლაც გუშინდელივით ივნენებს სოციალისტური შრომის გმირი, 90 წელს მიღწეული ელიტე მგელაძე.

შრომისმოყვარე გოგონამ თავიხი ბედი თანასოფლელ დავით ქურიძეს დაუკავშირა, მაგრამ დიდხანს არ დასცალდათ, 1941 წლის ივნისში გაიწვიეს ომში დავითა. ახალშეკნილი ოჯახში დარჩა ცოლი და 9 თვის პირშო — გიგლა. დავითი ქ. ფეოდოსიის აღების დროს გმირულად დაიღუპა. ოჯახს სათავეში ჩაუდგა ჯარისკაცის ქვრივი.

გაჭირვე ქალი ჩინებულად გაუძღვა ოჯახს, ერთიდერთ ვაჟს გიგლას შრომა შეაჩვარა, დააქორწინა. ორი ალმასივით ბიჭი ჰყავს, ერთს ომში დაღუპული პაპის დათიკოს სახელი დაარქვეს, მეორეს — გოჩა. გამოაყვლდა ოჯახი. ახლა ბედნიერ ბებიას შვილიშვილის შვილი ახარებს. მისდა სამედნიეროდ, რძალი ეფერი ტოლს არ უდებს დედამთილს. ეფერმა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება სამ წელიწადში შეასრულა, მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში მოკრეფილი აქვს 30 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. საგულისხმოა, რომ საშა ქურიძის ოჯახი ყოველ სეზონში 30-40 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს აბარებს სამშობლოს...

სოციალისტური შრომის გმირის საშა ქურიძის მეკრეს ამშვენებს 16 სხვადასხვაგვარი ორდენი და მედლები. ხანს მიღწეული ქალი კვლავ ახალგაზრდული შემართებით საქმიანობს, მას გვერდს უმშვენებენ თანამოსაქმეები, სოციალისტური შრომის გმირები, რძალ-დედამთილი ელიპტე და გოგოლა მგელაძეები, თამარ ტუღუში, ნატაშა ხინთიბიძე და სხვები, ღირსეულ ადამიანებს რა გამოლევს ძიმითში — 250 მეჩაიეს მიღებული აქვს მთავრობის სხვადასხვა ჯილდო, ორდენები და მედლები.

გამომშვიდობებისას თავმჯდომარეს დაჰპირდა — ამ სეზონში ნაცვლად 16 ტონისა ხულ ცოტა 17 ტონა ფოთოლს მოკრეფო. ყველამ იცის, მისი სიტყვა ბეტონია!

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

ფარმატებას ულოცავენ

ჩვენმა ქართველმა ძმებმა კვლავ მიაღწიეს დიდ წარმატებას სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში — გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების ვალდებულებანი. მიმღებ პუნქტებში მიიტანეს 580 ათას ტონაზე მეტი ნედლეული.

საქართველოს მეჩაიეთა წარმატებული შრომა მაგალითია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ყველა შრომელისათვის. ამინდის პირობებით რთული ეს წლეწადი ძნელი იყო ჩვენთვისაც — აზერბაიჯანის მეაბრეშუმეებისთვისაც. მიუხედავად ამისა, ჩვენმა კოლმეურნეობამ ერთიორად გადაჭარბა პარკის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიურ დავალებას. გეგმით გათვალისწინებული 11,5 ტონის ნაცვლად დამამზადებელ პუნქტში გავგზავნეთ 25 ტონა.

ერთხელ კიდევ მინდა მოგილოცოთ, მეგობრებო, დიდი შრომითი გამარჯვება. ეჭვი არ მეპარება, რომ კვლავაც ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებთ, რათა ამრავლოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის წარმატებანი.

ლ. ზაიდოვა,
აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, შეკის რაიონის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე.

ჩვენი კოლმეურნეობის მევენახეები სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ მოძმე საქართველოს მეჩაიეებმა შესრულეს ჩაის ფოთლის დამზადების, ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციის სოციალისტური ვალდებულებანი. თქვენთვის ადვილი არ ყოფილა ამ შრომითი გმირკვეების მიღწევა: მთელი სეზონის მანძილზე ხელს გიშლიდა უამინდობა, მაგრამ მას დაუპირისპირეთ მუშაობის კარგი გამოცდილება, ჩინებული ორგანიზებულობა, შინაგანი დისციპლინა.

ბ. ხაჩატრიანი,
სომხეთის სსრ ეჩმიაძინის რაიონის სოფელ არატაშენის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

საქართველოს ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ენვერ მალაზონია გვესაუბრება იმის შესახებ, თუ მეთერთმეტე ხუთწლედში როგორ გაიხარჯნენ მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები ქართული ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად, როგორია ამ მხრივ პერსპექტივა.

კითხვა: ჩაის ნედლეულის დამზადებაში რომელი რაიონია წინ, ამაზე თავს არ შეგაწყენთ, რადგან ოფიციალური ცნობითაც ცხადია. რედაქციაში შემოსული შეკითხვებისა და წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბევრს აინტერესებს, რა გაკეთდა ცნობილი ზუგდიდელი მეჩაიის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას გახმაურებული წერილის — „აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება“ — შემდეგ?

პასუხი: ათი წლის წინათ, ზუგდიდში გამართულ მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე განისაზღვრა ქართული ჩაის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. მერე თითქმის მთელი ქვეყანა აალაპარაკა ცნობილი ზუგდიდელი მეჩაიის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას წერილმა — „აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება!“ ამ ხანდაზმულმა, მართლაც ფუტკარივით შრომელმა და ჯანსაღად მოაზროვნე ქალმა არა მარტო სიტყვით, საქმითაც დამტკიცა, რომ ახლა უმთავრესია ჩაის ხარისხი, რომ უამისოდ შორს ვერ წავალთ. ეს კარგად გიგვეს მეჩაიეობის რაიონების მშრომელებმა, გადამუშავებელი მრეწველობის მუშაკებმა.

ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესება სოფლის მეურნეობისა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ერთობლივი, კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებით უნდა ხდებოდეს. ეს კი ჩაის ბუჩქის აგროწესების მიხედვით მოვლა-პატრონობას, კრეფის წესების ზუსტად დაცვას, მოკრეფილი ნედლეულის დროულ და სათანადო ტრანსპორტირებას, ჩაის ფაბრიკებში დაუყოვნებლივ მიღებას და ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვით უზადო გადამუშავებას ითვალისწინებს. და მაინც, უნდა ვთქვათ, რომ ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა პლანტაციაში იწყება, მაგრამ ვერც ჩვენ ვიმარილებთ თავს.

როცა ხარისხზე ვლაპარაკობთ, ციფრები თითქოს საჭირო არ არის, მაგრამ, ამჟამად რამდენიმე ციფრს მაინც მოვიყვან. მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ერთობლივი, შეთანხმებული შრომის შედეგად მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში უკვე მოიკრიფა და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარდა 2.775.200 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 57.200 ტონით მეტი, ვიდრე მეთერთმეტე ხუთწლიანი ვალდებულება ითვალისწინებს. ურიგო არ იქნება გავშიფროთ ეს მთლიანი ციფრი ცალკეული წლების მიხედვით:

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს 515.000 ტონის მაგივრად 524.500 ტონა ნედლეული დამზადდა და გადამუშავდა, შარშან კი 577.000 ტონა, წელს 580.200 ტონა. ჩაის ფოთლის დამზადების მატებასთან ერთად ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხიც ყოველ წელიწადს უმჯობესდებოდა. მაგრამ ცოდვა გამხეილი სჯობს — ყველა არ არის მაღალი ხარისხისა. 1982 წელს ქვეყნის ჩაის საწონმა ფაბრიკებმა რესპუბლიკის ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებს მიერ მთელი გამოშვებული პროდუქციის 6,8 პროცენტი ანუ 5 მილიონი მანეთის ოდენობა ხარისხში გადაიყვანეს; შემდეგ წლებში კი 2,9 პროცენტი, ანუ — 2,7 მილიონი მანეთისა. ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტყველებს ისიც, რომ გამომშავებული პროდუქციიდან უმაღლესი და პირველი ხარისხის წილმა ამპროდუქცია გამოვუშვით, ანუ ხუთწლიან გეგმაზე 33 მილიონი მანეთით მეტი. წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის დადგენტებით კიდევ 700 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებთ. ეს ჩვენი, მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა ერთობლივი შრომის შედეგია. ეს მისალიცია, მაგრამ...

კითხვა: მაინც მაგრამ, ხომ?

პასუხი: რა თქმა უნდა. ჯერ ხომ მიზნისაგან შორსა ვართ.

კითხვა: კიდევ რა არის საჭირო, რომ ქართული ჩაის ხარისხი უფრო გაუმჯობესდეს და იმრავლოს სამაღლობელმა წერილებმა?

პასუხი: ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში მეწეველი პირველი შედეგების მიუხედავად, მრეწველობის მუშაკებს კარგად ესმით, რომ გასაკეთებელი მაინც ბევრია.

მეთორმეტე ხუთწლედში ჩაის მრეწველობის მუშაკთა ამოცანა ის არის, რომ რაციონალურად გადავამუშაოთ ჩაის ფოთოლი, რომელსაც, მიუხედავად მკაცრი კონტროლისა, ჯერ კიდევ საკმაოდ მოუხეშოს და უხეშს კრეფენ. ეტყობა, მარტო კონტროლი საქმეს მთლად ვერ შეელის; ჩემი აზრით, უფრო მეტ წამახალისებელი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს.

80 ჩაის ფაბრიკაში ჩაის სახმობი ღუმელების ჩატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის შედეგად შეიქმნა კომპლექსურ-მექანიზებული სახმობი ბაიხაო ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად 19 ჩაის ფაბრიკაში ფიქსაციის პროცესი დაორთქლის მეთოდით ხდება; ჩაის საწონი ფაბრიკების ტექნიკური დონის ამაღლების მიზნით ექსპლატაციაში გავუშვით 24 ავტომატიზებული ჩაის დამფასოებელი იმპორტული ხაზი; საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენში განხორციელდა სამრეწველო საწარმოს ენერგომომარაგება ოხური ტუმბოების გამოყენებით, რითაც სამტრედიის ჩაის ფაბრიკებში ძვირადღირებულ ორგანულ საწვავს ალარ ვხმარობთ.

კითხვა: როგორია უნდა მოიქცნენ მრეწველობის მუშაკები?

